ISSN 0132-5965

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილა

572
1985

1985 დეკემბერი № 12

ბაბუა და მოგზაური

ჟურნალის წინა ნომერში მომავლის სარკმელი დავარქვით ჩვენი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის (სკკპ) ყრილობებს.

თავიდანვე მომავლის გადასახედი იყო პარტიის ყრილობები. ჯერ კიდევ 1898 წელს, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (შემოკლებით რსდმპ, თავიდან ასე ერქვა სკკპ-ს) დამფუძნებელ, ანუ დამაარსებელ, შემქმნელ I ყრილობაზე „მომავლის სარკმლიდან“ დაინახეს, რომ ეს პარტია უნდა ჩადგომოდა სათავეში მშრომელი ხალხის რევოლუციურ ბრძოლას მეფის ხელისუფლების, მდიდრებისა და მეპატრონეთა დასამხობად. ყოველი ყრილობიდან შემდეგ ყრილობამდე იხვეწებოდა ამ ბრძოლის გზები.

1917 წლის თებერვალში რუსეთის მშრომელებმა ტახტიდან ჩამოაგდეს მეფე და იმავე წლის ზაფხულში, პარტიის VI ყრილობაზე, „მომავლის სარკმლიდან „გამოჩნდა“ საყოველთაო შეიარაღებული აჯანყება და საბჭოების ხელისუფლება.

მოხდა 1917 წლის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და ახლა საჭირო გახდა ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს მომძლავრება. ამას კი ხელს უშლიდა იმ დროს მიმდინარე ომი გერმანიასთან—პირველი მსოფლიო ომი, რომელიც აჩანაგებდა და არაქათს აცლიდა ქვეყანას. აუცილებლად საჭირო იყო მშვიდობიანობის დამყარება, და პარტიის შემდეგ ყრილობაზე სწორედ ეს საკითხი დადგა—ომიდან საბჭოთა ქვეყნის გამოსვლის საკითხი. დაიდო ზავი, მაგრამ საბჭოთა რუსეთს თავს დაატყდა ახალი განსაცდელი—უცხოეთის ქვეყნების შემოჭრა, ანუ ინტერვენცია და შინაური—სამოქალაქო ომი. მძიმე ბრძოლებში, სასტიკ გაჭირვებაში ხალხმა მაინც დაიცვა თავისი რევოლუციური მონაპოვარი; საბჭოთა სახელმწიფომ გაიმარჯვა, მაგრამ ომებისაგან ის საშინლად იყო დასუსტებული. იმისათვის, რომ ქვეყანა ფეხზე დაეყენებინა, პარტიამ გააჩაღა ბრძოლა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის და ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის. შეიქმნა ჩვენი სახელმწიფოს განვითარების ხუთწლიანი გეგმა (1928-29—1932-33 წლებისა)—I ხუთწლედი, და იმ დროიდან მოკიდებული საბჭოთა ქვეყნის წინსვლა ამგვარი გეგმების მიხედვით წარიმართა. ხომ იცით, რომ გეგმა წინასწარ დგება რაიმე მიზნის მისაღწევად. წინასწარ შემუშავებული გეგმით მუშაობა ყოველთვის უფრო შედეგიანია ყველა—დიდსა თუ პატარა საქმეში.

ხუთწლედებს პარტიის ყრილობებზე ამტკიცებდნენ და რაც „მომავლის სარკმლიდან“ გეგმად მოჩანდა, შემდგომ ხუთწლეულში (ან ზოგჯერ უფრო ადრეც, ესე იგი, ვადამდე) სინამდვილედ იქცეოდა.

დღეს ჩვენი ხალხი ახალ წარმატებებს აღწევს მეთერთმეტე ხუთწლიანი გეგმის მიხედვით, მაგრამ უკვე შემუშავებულია მეთორმეტე ხუთწლედის პროექტიც, რომელიც პარტიის ახალ, ოცდამეშვიდე (XXVII) ყრილობაზე დელეგატების წინადადებათა მიხედვით შეივსება, შესწორდება და დამტკიცდება.

თებერვალში „მომავლის სარკმლიდან“ ქვეყნის განვითარების ახალი სანახები გამოჩნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

17. 973

კარლო არსენაშვილი

როცა ყვავილებს სძინავთ

გარეთ ყინავს. ფანჯრის მინები შეჭირხლულია. ზღაპრულ გამოსახულებებს ჰგავს ყინულის თხელი ფენა.

ოთახში ღუმელი ღუდღუდებს. თბილა. იმ მხარეს, საითაც ნინო ზის, ღუმელის თუნუქი სანახევროდ გაწითლებულია.

ნინომ გაიფიქრა, სითბო თავბრუს დამახვევსო და აივანზე გავიდა. კარის გაღებისას, მოაჯირზე ჩამომსხდარმა, მოწყენილმა ბეღურებმა შეიფრთხიალეს და თვალს მიეფარნენ.

...მავთულებზე გადაჭიმულ ხეივანს თოვლი დასდებია. ეზოში პაპა დადის, ხელში ორკაპიანი უკავია, ასწევს ორკაპიანს, ამოსდებს ვაზის რქას, აჰკრავს და თოვლს ჰყრის. რომ არ ჩამოჰყაროს, ხეივანი დაზიანდება, ნინოს საყვარელ ყურძენს ვეღარ დაისხამს.

პაპას რეზინის ჩექმები აცვია და თოვლში უშიშრად დააბოტებს.

ბებია და დედა მარანში არიან და პურის ცომს ზელავენ. ნინოს უყვარს ცხელი შოთები. ბებია შეჰპირდა, ნაზუქებსა და კვერიებსაც გამოგიცხობო, საახალწლო ბასილასაცო. ერთი სახის კვერს ბასილა, ანდა ბასილევსი ჰქვიან. რა არის ნეტავ ბასილევსი? ნინოს ბიძაშვილმა გურამმა თქვა, „ბასილევსი მეფეაო“.

გარშემო თოვლია. თოვლია ეზოში. თოვლია სათონის ჩარდახზე და გომურის სახურავზე.

მზეს ერთ ადგილას ღრუბლები სინათლით გაუჟღენთია... სხივებს ძალა დაჰკარგვიათ.

თოვლი აყრია ფიჭვის მწვანე წიწვებს. ფიჭვიდან ჩიტბატონების სტვენა ისმის. უკვე ერთი კვირაა, რაც გამოჩნდნენ, მთაში შესცივდათ და ბარს მოაშურეს.

თოვლია ვენახში. ვენახის თავში მსხალი დგას. ეს მსხალი ორი ჯიშის ხილს ისხამს: ბალურ პანტას და ხეჭეჭურას.

მსხალი დიდ პაპას დაურგავს. მაშინ ნიკო პაპა ნინოს ტოლა იყო თურმე — ექვსი წლისა.

შენს შვილიშვილებს უნდა მოესწროსო — უთხრა ნიკოს მამამისმა, და აკი მოესწრო კიდეც.

მსხლის ტოტებზეც თოვლია. მხოლოდ ფითრი ჩანს მწვანედ. ფითრი ლამაზია, მაგრამ ნინოს ეჯავრება. იცის, ფითრი ხის მტერია.

მსხლის კენწეროზე კაჭკაჭი ჩამომჯდარა და დაფიქრებული გაჰყურებს სოფელს.

შორს, სოფლის ბოლოში, გზატკეცილზე, ავტომანქანები ძლივს მიღოღავენ. პაპამ ხეივნიდან თოვლის ჩამოყრა დაამთავრა, ნიჩაბი აიღო და სათონისკენ ბილიკის გაკვალვას შეუდგა.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

მხატვარი ლადო ტატიშვილი

მალე გაკვალა ბილიკი და ახლა ნაჯახით ფიჩხი დაკუწა... თონე აბრიალდა.

კაჭკაჭმა ფრთები გაშალა და კედლისკენ ტზე გადაჯდა.

დედამ და ბებიამ სუფრაგადაფენილი ორომი გამოიტანეს. სუფრის ქვეშ ცომის გუნდები ეწყო და ნინოს მოეჩვენა, რომ სუფრა ბევრ, ძალიან ბევრ ბურთს გადაჰფენოდა.

— ბასილიკები არ დაგავიწყდეს, ბებია, ბასილიკები!

...ეზოში გამომცხვარი პურის სურნელი დატრიალდა.

— ნიკოო! ჰაი! ნიკოო! — ჭიშკართან ფოსტალიონი ყვიროდა, — დეპეშაა თბილისიდან. ნინოს მამა იწერება, დიდთოვლობაა, გზები ჩაიკეტა და ვერ მოვდივარო. არ იდარდოთო.

— მოდი, ვანო! — შეიპატიჟა პაპამ — პურს ვაცხობთ და...

ფოსტალიონი ეზოში შემოვიდა, ბებიამ ტაბაკით ყველი და მწნილი გამოიტანა. დედამ შამფურებით ამოყარა და ამოყარა თონიდან შოთები.

...ფოსტალიონი წავიდა. ნინოს შესცივდა — აღარც ღრუბლები იყო მზის სხივებით გაჟღენთილი. აღარც ჩიტბატონები გალობდნენ ფიჭვის წიწვებში; ოთახში შევიდა და ღუმელის გვერდით პაწია სკამზე ჩამოჯდა.

დედა და პაპაც შემოვიდნენ. პაპამ ღუმელს შეშა შეუკეთა.

ღუმელი ისევ აღუდღუდდა.

ბებიამ ძროხა მოწველა და სარძევე ქვაბი შემოდგა ცეცხლზე.

ნინომ მოყვითალო ნაღებიანი რძე შესვა და ძილი მოერია. თვითონ გაიხადა და საბნის ქვეშ შეძვრა.

— დედა! მამა მალე ჩამოვა?

— მალე, შვილო, მალე ჩამოვა.

— დედა, ვენახის ბოლოში, მინდორში რომ ყვავილებია, რატომ არ ჩანს?

— ზამთარია, შვილო, ყველაფერი თოვლით არის დაფარული.

— ყვავილებს არა სცივათ?

— მიწაში თბილად არიან. სძინავთ, შვილო, ყვავილებს. გაზაფხულდება და გაიღვიძებენ.

ნინოს რაღაც გაუხარდა. კედლისკენ გადაბრუნდა, დიდხანს, დიდხანს ფიქრობდა მინდვრის ყვავილებზე, რომლებსაც ზამთარში სძინავთ, და თვითონაც მალე ჩაეძინა.

ყვავილებსაც ეძინათ და ნინოსავით ეზმანებოდათ თოვლის დნობა, ადიდებული ხევები და კოხტა, კოპწია გაზაფხული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოდარ შამანაძე

მეტრო

ავტობუსი ხომ კარგია,
მეტრო უკეთესია;
ვდგები ესკალატორზე
მარჯვნივ, როგორც წესია
და ჩავდიგარ ქვევით
რწევა-რწევა-რწევით.
მოვა მატარებელი
ხმაურით და რიხით,
და საითაც მინდა,
გამაქრობლებს იქით.

თხოვნა

აგასვლევინებ რძეს,
ცოტას კი არა, ბევრს;
ოღონდ, ფიხუნავ, ნუ კნავი,
ნუ გამიღვიძებ ბებიას,
წინდის ქსოვაში დაღლილა
და სკამზე ჩასძინებია.



მხატვარი ლალი ლომთაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ევა ჩაკალიდი

შენც ისეთი მშველელი გამოგიჩნდეს

ნაძვის ტოტზე მოლაღური ზის და ბაღს გადასცქერის. უცებ ბილიკზე მომავალ ლოკოკინას მოჰკრა თვალი. მოცუცუნებს კისერმოღერებული, სახლ-ფარს დინჯად მოარწევს და ჭოგრიტა თვალებით მიდამოს ათვალიერებს. როგორც კი ლოკოკინა ნაძვს მიუახლოვდა, მოლაღურმა რამდენჯერმე ჩაუკაკუნა ნისკარტი ტოტს, რომ ლოკოკინა მაღლა აეხედებინა, მაგრამ ის მშვიდად მოდის და მოირწევა.

— მეზობელო, ლამაზჯავშნიანო, ამოიხედე! — ჩასძახა მოლაღურმა. რომ ვერ გაიგონა, ძირს ჩაფრინდა და ხმამაღლა შესძახა: — გამარჯობა, ლამაზსახლიანო!

შემკრთალი ლოკოკინა ჯერ ნიჟარაში შეიმალა, შემდეგ თავისი უფანჯრო სახლის ერთადერთი კარიდან ისევ ამოჰყო მაღალი კისერი, რქათვალები ამოსწია და უთხრა:

— ლამაზი სახლი შენა გაქვს და, რაც მთავარია, საკუთარი შრომით ნაგები; თქვენისთანა კარგი ბუდის მოწვნას დიდი უნარი და შრომისმოყვარეობა სჭირდება. რაც შეეხება ჩემს ლამაზ სახლს, მის აშენებაზე შენსავით ძალა არ დამდგომია, დიდმა ბუნებამ მზამზარეული სახლ-ფარი მომცა და გამაბედნიერა. ბუნებამ კარგი თვისებებითაც დაგვაჯილდოვა ლოკოკინები. ძალოსნები ხომ ვართ, და ზოგმა როდი იცის, რომ მრავალგვარი სენის სამკურნალოდაც შეიძლება ჩვენი გამოყენება.

— ერთი ესეც გამაგებინე, მართალია, რომ ლოკოკინებს უამრავი პაწაწკინტელა

რქოვანი კბილები გაქვთ და ეს კბილები ენაზე გაქვთ მოთავსებული.

— მართალია. ამ ხაოიანი ენით არის, რომ მცენარიდან საკვებს ვფხეკთ. ეს არის ჩვენი საარსებო უნარი... ვაი, ვაი! მიშველეთ! ზღარბი მოდის, როგორმე უნდა დავიმალო, თორემ გადამსანსლავს. — და ლოკოკინამ დამალვა რომ ვერ მოასწრო, ისე ჩაიკარგა ნიჟარაში, იტყოდით, ნიჟარა ცარიელიაო. იცოდა ლოკოკინამ, თუკი ზღარბი თვალს მოჰკრავდა, ნიჟარაში ჩამალვა აღარ უშველიდა, ნიჟარიანადაც კარგად ჩააკნატუნებდა, მაგრამ ნათქვამია: „წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო“. და აი, სწორედ სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე, თითქოს ჯურღმულში მზე აკაშკაშდაო, მოლაღურის იმედიანი ხმა ჩაესმა:

— ნუ გეშინია, ახლავე ნისკარტს ჩაგავლებ და მაღლა აგიყვან.

ხილით ზურგაჩონჩხილი ზღარბი მაშინვე წაეტანა ლოკოკინას, მაგრამ მოლაღურმა დაასწრო, სწრაფად აიტაცა ნიჟარა, ტოტზე შემოჯდა და ზღარბს ჩამოსძახა:

— ეი, ხარბო! ხარბო! ზურგაჩონჩხილი მოდიხარ და კიდევ საკბილოს ეტანები?

განბილებული ზღარბი აფრუტუნდა, ახრუტუნდა და ხუსხუსით განაგრძო გზა.

როცა საფრთხე უკან დარჩა, მოლაღურმა ლოკოკინა ძირს ჩამოსვა და უთხრა: — დაწყნარდი, ხომ ხედავ, ყველაფერი კარგად დამთავრდა.

— ჰოო, ჩემო მხსნელო, შენ არა მყოლოდი, ვნახავდი, როგორ კარგადაც დამთავრდებოდა ჩემი საქმე. გულით გისურვებ, გაჭირვებაში შენც ისეთი მშველელი გამოგიჩნდეს, როგორც მე გამომიჩნდი, — ლოკოკინამ მაღალი ყელი მოლაღურს კისერზე გადახვია და ჭოგრიტა თვალებიდან სიხარულისა და მადლიერების ცრემლები ჩამოუგორდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაზი კილასონია

მეგობრები

ნათია და ბებია
დიდი მეგობრებია.
წიგნთან ერთად სხდებიან
ანა-ბანიში ტკბებიან.
სკოლის ფორმაც, ბებია,
გაგიუთოებია?
ნათია და ბებია
ვიშ, რა მეგობრებია!

მხატვარი ედუარდ ამბოკაძე

ლიტა სტვილია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აბშრდია ჩაბშრდია

ჩვენი გოჭი ზარმაცია,
აბურდია
ჩაბურდია...
იქით ვედრო გააგორა,
ტაშტი როფში ჩაუგდია.
თივა, ჩალა,
ვაშლი, ტარო,
სულ ფეხებქვეშ გაუგია.
სადა წევს და რაში გორავს,
ვერაფერი გაუგია.
თავის სახლი ზარმაცელას
არასოდეს დაუგვია.
შიგ უერია ნაჭუჭები:
თხილი, წაბლი, ნაქურჩელი.

— ღრუტ!
— თქვა გოჭმა,
— ამ ქონებას
ერთი წელი ვაქუჩებდი!
შიგნითა ვარ ჩამალული
ჰირით,
დინგით,
ფაჩუჩებით.
ვკვნესი, ვიდრე არ გავთბები,
გავთბები და გავეუჩდები!
ნუ მეძახით, ჰატარებო,
აბურდია
ჩაბურდიას,
-აბა რა ვქნა, მეც თქვენსავით
ბებიები არ მფუთნიან.
ეცინება მზიას: ბიჭო,
მაგის ბებო ცხრა ფუთია!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯანიკო გაგუნია

თადარიგიანი ბიჭი

თოვლი მოდის, თოვლი მოდის,
სულ გაივსო შუკა, ეზო,
ვედროთი და ნიჩბით ხელში
დატრიალდა ცელქი ბესო,
— ჰე, ბიჭებო, მომეხმარეთ!—
გადასძახა ვანოს, ილოს,
ვედროებით შევინახოთ,
ზაფხულში რომ გაგვაგრილოს.



ანატოლი ჭარდავა

მხატვარი

ზეცა დახატა, ღრუბელიც,
ახლა კითხულობს დალი:
— ქარის დახატვა მინდა და
როგორ დავხატო ქარი?
— დახატე ჩამოცვენილი
ვაშლი, ატამი, მსხალი,
წინ—ქუდი, უკან—ზურიკო,
და ეს იქნება ქარი.

მხატვარი ნანა ჭურღულია

ტაგუ მეგურიშვილი

ტელევიზორთან

მტრედისფერი ეკრანი
ბრწყინავს ტელევიზორის,
ეკრანზე ჩანს ჟირაფი,
ზებრა,
სპილო,
ბიზონი.
უკვირთ ლალის,
მამუკას,
ვაჟას,
ლიას,
ტიტეს,
ამ ვეება ცხოველებს
ეკრანი რომ იტევს.

ᲛᲝᲒᲣᲠᲗᲐᲓᲦᲐ ᲕᲝᲕᲓᲐᲜᲘ

ᲡᲣᲜᲗᲥᲕᲘᲗᲘ ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲔᲑᲘ ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ

თუ გინდა გაკაჟდე, სულ პატარაობიდან დაიწყე ვარჯიში. ოლონდ დედას, მამას ან უფროს და-ძმას სთხოვე დახმარება. შეგიძლია ივარჯიშო დილას და დღისითაც. ზაფხულობით კი შეიძლება მაერზე ვარჯიში.

1. საათი.
ოდნავ გალაჯული დადექი, ხელები დაუშვი და თანმიმდევრულად ამოძრაე წინ და უკან, წინ და უკან, თან საათივით ტატუტუ: ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ! ხელები წინ, ხელები უკან (გაიმეორე 10-12-ჯერ).

2. საყვირი.
იატაკზე დაჯექი, ხელები მოუფუტე, პირთან მიიტანე და ჩაბერე — უპ-უპ-უპ (4-5-ჯერ).

3. მამალი.
უეხები განზე გადგი, ხელები დაუშვი, მერე ასწიე და თეძოებზე შემოირტყი, კოდეკ და კოდეკ... თითქოს მამალი ფრთებს აფარფატებენსო. ამოისუნთქვაზე დაიძახე: ყიყ-ლი-ყო! გაიმეორე 5-6-ჯერ.

4. ფაფა თუხთუხებს.
დაჯექი, ცალი ხელი მუცელზე დაიდეკი, ცალი — გულზე. შესუნთქვაზე მუცელი შესწიე, ამოსუნთქვაზე გამობერე, თან ამოსუნთქვისას იძახე: თუხ-თუხ-თუხ! (3-4-ჯერ).

5. ორთქლმავალი.
იდაყვში მოკეცილი ცალი ხელი წინ, ცალი — უკან, ცალი წინ, ცალი უკან! თან იარე და იძახე: ჩუკუ-ჩუკუ-ჩუკუ-ჩუკუ! (20-30 წამი).

6. ლერწმები.
დადექი, უეხები მოატყუპე — თავს ზევით ორივე ხელით ტანვარჯიშული ჯოხი დაიჭირე, ასწიე ჯოხი, თვითონაც თითის წვერებზე აიწიე და ჩაიხუნქე, ახლა ჯოხი უკან გადასწიე — ბეჭვებისაკენ და ნელ-ნელა ამოისუნთქე, თან იძახე: ფუ-უ-უ-უ (3-4-ჯერ).

7. ნაბიჯით იარ!
დადექი, მხარზე ტანვარჯიშული ჯოხი გაიდეკი და სიარული დაიწყე. ნაბიჯის გადადგმისას შეხლები რაც შეიძლება მაღლა ასწიე. პირველ ორ ნაბიჯზე ჩაისუნთქე და თან იძახე ჩ-ჩ-ჩ-ჩ (1,5 წუთი).

8. ტუმბო.
სწორად დადექი, უეხები მოატყუპე, ხელები დაუშვი. ჩაიხუნქე, თან ხმამაღლა ამოიქსუტუნე — ქს-ს-ს-ს. ახლა მეორე მხარეს. თითო მხარეს 6-8-ჯერ გადაიზნიქე.

9. მოძრაობის მომწესრიგებელი.
მხრების ხიგანზე გალაჯული დადექი, ცალი ხელი მაღლა ასწიე, ცალი — განზე. შეიხუნქე ცხვირით. ახლა ხელები შეანაცვლე, ხელა ამოისუნქე და თქვი: —ტ-ტ-ტ (გაიმეორე 5-6-ჯერ).

10. ბურთაობა.
ბურთი მკერდთან დაიჭირე და ისროლე. თან ამოისუნთქე და ხმა ამოიყოლე — უუპ! (5-6-ჯერ).

11. დიდი გაიზარდე.
უეხები შეატყუპე, ხელები მაღლა ასწიე და თვითონაც თითის წვერებზე აიწიე — შეიხუნქე. ხელები დაუშვი, თითის წვერებიდან ტერფებზე ჩამოეშვი და ამოისუნქე, თან — უუპ! — თქვი (4-5-ჯერ).

12. მოთხილამურე.
1,5-2 წუთი ისე იარე, ვითომ თხილამურებით მიდიხარ. ამოსუნთქვისას ამოთქვი: ششش.

13. ჯიჯგარა.
უეხები მხრების ხიგანზე დადგი, ზურგს უკან ლავიწის ძვლებთან ჯოხი დაიჭირე, ხან ერთი მხარეს გადაიზნიქე, ხან მეორეს. გადაზნექისას ამოისუნთქე: ტუუს! (თითო მხარეს 3-4-ჯერ).

14. გადამფრენი ფრინველები.
1-2 წუთი ნელა იარე, თან ხელები ამოძრაე: განზე გაშალე — ჩაიხუნქე, დაუშვი — ამოისუნქე: „ფუ-უ-უ“.

15. სემაფორი.
დაჯექი, უეხები შეატყუპე, ხელები — განზე. ჩაიხუნქე: ახლა ხელები ნელ-ნელა დაუშვი — ამოისუნქე. თან თქვი: ششش (3-4-ჯერ).

კარლო კობერიძე

შოთი

ბევრი იტყვის, შოთი შოთია, ამას რაღა განმარტება უნდაო, მაგრამ როგორც დავინახავთ, თურმე სდომებია. შ ო თ ი თონეში გამომცხვარი გრძელი პურია, ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს სოფლებში აცხობენ, გვინახავს და გვიჭამია კიდევაც. ახლა კი, ახლა, უფრო ქალაქელი გოგო-ბიჭები და უფროსებიც „დ ე დ ა ს პ ურ ს“ ეძახიან, რაც სწორი არ არის.

სიმართლე რომ დავადგინოთ, აჯობებს, ისევ ჩვენს უტყუარ მასწავლებელს — ხალხს ვკითხოთ, ხალხსა და მათ დიდებულ ნააზრევს — ლექსიკონებს.

„დედას პურს“ ლექსიკონებში ვერსად ვერ შეხვდებით. აი, „დ ე დ ო პ ურ ი“ კი წერია: „სალოცავისათვის გამომცხვარი დიდი პური“. ეს იმას ნიშნავს, რომ ახლა ასეთ პურს აღარ აცხობენ, ან თუ აცხობენ, იშვიათად.

აღმოსავლეთ საქართველოს სოფლებში ასე იყო და ახლაც ასეა: შოთებს უფრო ბებიები ჩააკრავენ ხოლმე თონეში. თონე ცხელი უნდა იყოს, ანუ ამოხურებული. რაღა თქმა უნდა, სხვანაირად არ გამოცხვება პური, ხომ გაგიგონიათ, — განელებული თონე პურს არ იკრავსო. რაკი თონე გახურებული უნდა იყოს, ამიტომ პურის ჩამკვრელს ძალიან უჭირს: სიცივეშიც კი სიცხე აწუხებს, სიცხეში ხომ — მით უარესი, ხელებსაც უწვავს, პირისახესაც უტკრეცავს. ერთი სიტყვით, ამგვარი სიცხე ძნელი ასატანიც არის და საზიანოც. ეს არის იმის მიზეზი, რომ უფრო მეტად ხნიერები, ბებიები აკრავენ პურს.

ფიჩხითა და შეშით რომ გაახურებენ თონეს, ელოდებიან, ცოტა განელდეს, რომ პური არ დაწვას. ისე თუა აფუებული ცომი, რომ დიდხანს ლოდინი არ შეიძლება (ცომმა ამჟავება იცის), მაშინ ღადარს სველ ნაცარს წააყრიან ხოლმე. ძალიან მხურვალე ან ზედმეტად განელებულ თონეში ჩაკრულმა პურმა ერთბაშად ჩაცვენა იცის, ამაზე იტყვიან — ი თ ა ფ ა ო. ჩაკრული ცომი თონეში რომ ჩავარდება და ნაცარსა და ღადარში გამოცხვება, ამას კ უ ტ ი ჰქვია.

ხალხში ახლაც ამბობენ „დ ე დ ო პ ურ ი ო“, მაგრამ ეს თონის შუაში ჩაკრულ პურსა ჰქვია. ყველაზე კარგ პურად ეს ითვლება, ვინაიდან ზომიერად ცხვება. არის კიდევ პ ი რ ი ს პ ურ ი და ქ ვ ე დ ა პ ურ ი — თონეში სულ ზემოთ და სულ ქვემოთ ჩაკრული პური. ასე ჩაკრული პური თანდათანობით, ზომიერად ვერ ცხვება, და ვერც ისეთი კარგი და თვალმისასვლელია. როცა შეატყობენ, პური უკვე გამომცხვარიაო, შუაში კავიან შამფურს — კ ი ნ ჭ ო ტ ს ჩაარტყამენ, მერე რკინის პატარა ნიჩბით — ა ს ტ ა მ ი თ მოაცლიან პურს თონეს და ასე ამოალაგებენ, ა მ ო ჰ ყ ურ ი ა ნ ხოლმე. ამოყრას იმიტომ ვეძახით, რომ ცხელია და ხელის წავლება არ შეიძლება. როცა პური კარგად არ არის გამომცხვარი და მოვხდით, თონის კედელზე ტოვებს კანს, ამ კანს ფ ა ფ ხ ა ჭ ე ლ ა ჰქვია. გამომშრალი ფაფხაჭელა სასიამოვნო საკნატუნებელია.

„დედას პურს“ ნამდვილად კარგი, მოსაფერებელი, სასიყვარულო, სანატრელი შინაარსი აქვს, მაგრამ მაინც კომპოზიტია, ანუ ორი სიტყვისაგან შედგება. ეს სიტყვაც რომ იყოს ჩვენს დიდებულ ენაში, კარგია, განა ცუდია, მაგრამ ისე არ გამოვიდეს, რომ ნამდვილი, უძველესი სიტყვა — შ ო თ ი — დავივიწყოთ.

მხატვარი ლალი ლომთაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭრიჭინა

გივი გეგეჭკორი

ბავშვებო! ალბათ ბევრს გინახავთ ცნობილი რუსი მხატვრის ილია რეპინის (1844—1930) სურათი „ბურლაკები ვოლგაზე“—ერთმანეთზე ღვედით გადაბმული, წელ-მოშვებული, ჩამოკონკილი და წინ წახრილი გატანჯული ადამიანები ვოლგაზე კარ-ჭაპს რომ მიათრევენ.

ილია რეპინისაა ის სურათიც—თურქეთის მონობიდან თავდახსნილი ზაპოროჟიე-ლი კაზაკები მაგიდას რომ შემოხვევიან ახარხარებულები და თურქეთის სულთანს აგ-დებულ წერილს სწერენ.

ილია რეპინის ამ სურათს კი „ჭრიჭინა“ ჰქვია.

„ჭრიჭინა“ მხატვრის ქალიშვილი ვერაა, ჭრიჭინასავით ცელქი და მოუსვენარი. ვერც ამ სურათზე ისვენებს. გადებულ მორზე ჩამომჯდარი ფეხებს აქანავებს, სახეზე ცელქი ღიმილი დასთამაშებს და იმ ველ-მინდვრებს გაჰყურებს, სადაც სულ ცოტა ხნის წინ ჭრიჭინასავით დახტოდა და უზრუნველად მღეროდა.

მზით განათებულ გოგონას ქუდს, სახეს, ხელის მტევნებს, კაბასა და გრძელ წინ-დებს შუქ-ჩრდილი დასთამაშებს. ეს სურათი სწორედ ამოძრავებული შუქისა და ჩრდი-ლის ერთმანეთში გადასვლით არის მდიდარი და საინტერესო.

ბესიკ მაღლაკელიძე

გიო და ჭიანჭველები

— თურმე ნუ იტყვით, ჭიანჭველას თავისზე ათჯერ მეტი ტვირთის ატოტება შესძლებია! — ბავშვებში ჩამდგარმა გიომ სალოკი თითი აღმართა: — სპილო რომ სპილოა, ერთ თავისნაირს ვერა ზიდავს და აქ კიდევ ათი...

სათითაოდ ჩამოაცქერდა ბიჭებს — ნეტა თუ ესმით ჩემი სათქმელიო.

ეზოში შუადღის პაპანაქება ანთია, ყველანი პელო ბაბოს საკუჭნაოში შეყუჟულან და „შტაბში“ ახალი დღის გეგმა დგება.

— ნეტაი ერთი შენც, მოგცლია! — ისევ ხელი უკრა საქმეზე სანდრომ, დაავლო თავის უმცროს ძმას მაჯაში ხელი და შინისაკენ მოუსვა. ის პატარა ტიტო კი ვაშლის ჯამით მისდევს სანდროს და თვალი უკან რჩება, მისდევს და რჩება. „ტიტოსაგან კაცი დადგება, მოიცა, წამოიზარდოს“, ფიქრობს გიო და სანდროზე ნაწყენი ახლა დანარჩენებს ეტანება: — ისიც იფიქრეთ აბა, სპილოსოდენა რომ იყოს ჭიანჭველა, რაებს დაითრევდა... — ფრთხილად აპარებს სათქმელს, ნელა-ნელა.

— ბიჭოო, აი შიში თუ გინდა, მაშინ ჭამე, ეგეთი ჭიანჭველა გვერდით რომ ჩაგისეირნებს. აუჰ! რას ემგვანება, — თვალები გადმოცვენაზე გაუხდა მიშას; დიდი ბოთე ვინმეა ეს ჩვენი მშიშარ-მიშა.

— რას ემგვანება და... კომბაინს. ფჰიჰ, რა უშნო იქნებაა, — ტუჩები გამობუტა პრანჭია ნინომ. მაგას ყველაფერი დაყოფილი აქვს „ლამაზია — უშნოა“. წვიმა ლამაზია, ქარი უშნოა. დედა ლამაზია, მეეზოვე აღინა უშნოა. თოჯინა ლამაზია, თოფი უშნოა. თოფიო, ბიჭო, თოფი უშნოაო! აბა ასეთს რა უნდა მოჰკითხო.

— კომბაინი ყანას მკის, თავთავს არჩევს და მარცვლის, მანქანას ტვირთავს და შენ პურს გაჭმევს. მაგოდენა შესძელი და სილამაზეზეც მაშინ ვილაპარაკოთ, — მოუცოცხა გიომ.

— სულაც არ მინდა ეგ შენი პური, ფუნთუშები მირჩევნია! — კიკინების ქნევით გამოეპასუხა პრანჭია, ქუსლებზე შეტრიალდა და ცხვირაბზუებული გაეცალა. აი, დარდი!

გიომ თვალი ცალკე მჯდარ თედოსაკენ გააპარა — მაგას თუ აიყოლიებს და ჩაიყოლიებს, სხვას ვის. აბა მაშინ იცოცხლე, თავი ქუდში ექნება. თედოს ვინ არ გამოჰყვება!

— მაშ ათჯერ მეტსაო?.. კარგი, ათრიოს, მერე ჩვენ რა? — ზანტად დაეკითხა თედო.

გიომ ბავშვებს უგვერდა და თედოს ცხვირწინ ჩაიმუხლა, გაულიმა: — ამ ეზოში რამდენი ჭიანჭველა დაყიალობს, შენც კარგად იცი. გუშინწინ არ იყო, კაკლის ნაჭუჭებში რომ ჩავსხით და გუბეებში ვაცურავეთ. ჰოოდა, მარტო თამაში რა ბედენაა, თუ არ მოვიშინაურეთ და არ ვამუშავეთ.

— ჭიანჭველას თუ კიდევ მუშაობა აკლია და... — არდადეგებზე სოფლიდან ჩამოქალაქებულმა მიხომ თავი გლეხკაცურად გადააქნია: — რასაც ეგენი შრომობენ, ჩვენ არც დაგვესიზმრება. — ისე ძიაკაცივით ლაპარაკობს მიხო, თითქოს აქ ვინმეზე დიდი იყოს.

— შრომობენ, მუყაითობენ თავისთვის, ფაციფუცობენ. — დაეთანხმა გიო. — ახლა კი ჩვენთვის უნდა ავამუშაოთ. როგორც კამეჩი, ცხენი, ვირი, სპილო და აქლემი ირჯებიან ადამიანისთვის, ჭიანჭველებიც ისე უნდა დავასაქმოთ.

— როგორა? — გაოცებისაგან პირს ვერ მოერია მიხო, ველარ დამუწა.

— მაგას მოფიქრება უნდა, — დინჯად გამოეპასუხა გიო. მაინცდამაინც არ გახარებია მიხოს ჩაჯინება, თავადაც ვერ მიმხვდარიყო ხეირიანად, თუ როგორ უნდა დაეწყო ჭიანჭველების გამოსწორება... მაგრამ არა უშავს, მოიფიქრებენ.

— უღელში მაგათ ვერ შეაბამ და ურიკას ვერ აჰკიდებ, ძალიან წვრილები არიან, — თავისთვის დაიწყო ბჭობა მიხომ, ჩანდა ქალაქელის ახირება იმასაც გადაედო: — მოიცა, იქნებ ჭიანჭველებს დავეხსნათ და ტარაკანებზე ვცადოთ, ჰა? ტარაკანას ძუასაც შემოუჭერ და იმაზეც ხომ რამეს ჩაუბამ, — დაასკვნა გახარებულმა.

— მე ჭიანჭველებზე ვამბობდი... — ის იყო სიტყვა სცადა გიომ, რომ თედომ შეაწყვეტინა: — შენა, მიხო, ტარაკანებისა ბევრი არაფერი გაგეგება,—საქმის ცოდნით დაიწყო, დალაგებულად: — ტარაკანა იმის ტარაკანაა, რომ ყველაფრის ეშინია. ჰოოდა, ჩააბამ, ვთქვათ, ათ ტარაკანას იმ შენ გამოჩორკნილ ურიკაში და იცი, რა მოხდება? სუყველა სხვადასხვა მხარეს მოცოცხავს, და მიდი, სდიე.

— ჭიანჭველა! მეც მაგას არ ვამბობ, ბიჭებო! ყველაზე ღონიერი და ჭკვიანი ჭიანჭველაა, და თუ რამე მოვიფიქრეთ... — გამოცოცხლდა გიო, მაგრამ რა გინდა, ისევ თედომ დაასწრო. მიუყვა დინჯად: — მე თუ მეკითხებით, ამ საქმეს აწონ-დაწონა სჭირდება. ჭიანჭველა და ტარაკანა ჩვენ არ გამოგვადგება. ისეთი უნდა მოვძებნოთ, ცოტა მოზრდილიც იყოს და თვინიერიც.

— მიხოს მამის ჩამოყვანილი თხა! — წამოენთო მშიშარ-მიშა და მთელი ჯამაათი საკუჭნაოს კუთხეში მიბმულ თხას მიაჩერდა. ის წვერცანცარა კი, თითქოს რაიმე მასაც ესმისო, ტუჩებს შეთქმულივით აცმაცუნებს და მიწას გამალებით უშენს ჩლიქებს.

— არ არის ეგ თხა თვინიერი, აქეთაც იმიტომ ჩამოვიყვანეთ, — უცებ დაფაცურდა მიხო, თვალებში შიში ჩაუდგა.

ყველას ისევ თედომ აჯობა: — თხა არ გვინდა, ხათაბალაა. მაგ საქმისათვის ამ ეზოში... მურიაზე ზედგამოჭრილი არავინაა! — დაასკვნა.

— ხალხო, ჭიანჭველა-მეთქი და მურია რა შუაშია! — უკანასკნელად გაიბრძოლა გიომ და კოვზიც უკანასკნელად ჩაუვარდა ნაცარში. ბავშვებს უკვე ერთი ჟივილ-ხივილი აეტეხათ, შტაბი აირ-დაირია, შეთქმულებმა საქმე გაინაწილეს. ამ ჟრიამულით დაფეთებულმა თხამ თივა მიაგდო და ბავშვებს საკუთარი სიცილ-კიკინიც შემოუერთა. მიხომაც დრო იხელთა, სხვების უჩუმრად მიეპარა და ხუჭუჭა შუბლზე ნაზად აკოცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქ ხომ აღარაფერი ესაქმებოდა, გამობრუნდა გიო, სახლის კარს თავჩაქინდრული მიადგა. ზარის ხმაზე გამოგეშებული დედისათვის თვალი არ გაუსწორებია, ოთახში ისე შეძვრა.

მეორე დილით, მზიან ალიონზე, გიომ ფანჯრები გამოაღო ფართოდ, ეზოში გადაიხედა ზმორებით. სახელდახელოდ ნაჯახირებ, მოფამფალებულ ურიკაში ბავშვებს მურია შეებათ, ენაგადმოგდებულს დაარბენინებდნენ აქეთ-იქით. საერთო მხიარულებას აევსო ეზო, ყველა ხტოდა, იცინოდა, ერთობოდა.

გიომ მძიმედ ამოიოხრა, თვალი ახლა შიშველი მიწისაკენ გადააპარა, ნაღვლიანად გაიხსენა ჭიანჭველები, მზეზე თავიანთთვის რომ ფაციფუცობდნენ და გიოსთვის არც იმათ რომ ეცალათ.

მხატვარი თამაზ ხუციშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დილის" სახელოვნო დარბაზი

კიტი გაფრინდაშვილი.
„ნაძვის ხე".

ანი გაფრინდაშვილი.
„კოსმოსი".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

17. 973

ნათია შენგელია.
„გაზაფხული“.

ნინიკო ჯაფარიძე.
„ბალერინა“.



თამრიკო შენგელია.
„ზამთარი“.

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიელო ტუნგალი

დეიდა ჟოზეფინა

ჩვენს ოჯახში გახლდათ სტუმრად
დღეს დეიდა ჟოზეფინა,
ბავშვებს როგორ გვესაუბრა,
ოხ, ნეტავი მოგესმინათ:
— ჰატალებო, მტლედუნებო,
სოკოლადი ალ სეწამოთ,
თოლემ, იცით, კიჭუნები
გეტკინებათ ამ საღამოს.
მალმელადი კალგი ალის,
კიდევ—ტკბილი მანის ფია.
ვახშმად ლიმონიან ჩაის
ალაფელი ალ ჯობია.—
დოგს შეარქვა ცუგლიკელა,
თიკუნია—თხანაცარას.
საღამომდე თითქმის ყველას
სახელები შეუცვალა:
ძროხას მლოხუკას ემახდა,
თამარს—თამლოს, ვარლამს—ვალას,

მე—ალჩილს და მზიას—მმიას...
ბებიაჩვენს—ბებუსიას,
ბაბუას კი—ბაბუსიას.
ასე რატომ მოგვმართავდა,
ვერაფერი ვერ გავუგეთ.
ჩვენ ხომ ჰირველ კლასში ვართ და
წერა-კითხვაც ვიცით უკვე!
— მეტისმეტი სიყვარულით
მოსდის ასე!—გვითხრა დედამ,—
ნუ შესცქერით წარბშეკრული,
ტორტსაც გიცხობთ, ვერა ხედავთ!
— მე კი მგონი, „ჩემო ალჩილ“,—
წამჩურჩულა ყურში შალვამ,—
მაგ დეიდამ ბავშვობაში
ლაჰარაკი ვერ ისწავლა...
ჰოდა, რა ვქნათ, ამის გამო
ცოდო არის, რომ გავკიცხოთ.
მითუმეტეს, ამ საღამოს
ლამაზ ტორტს თუ გამოგვიცხობს...

მხატვარი ბესო ხიდაშელი

თარგმნა გივი ჰიჰინაძემ

ანაგრამა

ის სახელი, რომელიც ანაგრამას შეჰფერის, გახლავს ხის ან საკრავის ქლერადობის ელფერი; თანხმოვანთა ადგილის შეცვლა არის საჭირო— ისიც მუსიკალური ტერმინია, უმაწვილო.

ზოთა ამირანაშვილი



გამოცანა

სამი უუთია. ერთში ორი თეთრი ბირთვია, მეორეში—ორი შავი, მესამეში—ერთი თეთრი და ერთი შავი. უუთებს აქვთ წარწერები „თთ“, „შშ“, „თშ“, რაც ნიშნავს ორი თეთრი, ორი შავი, თეთრი და შავი. მაგრამ სამწუხაროდ, არც ერთი წარწერა არ შეესაბამება სინამდვილეს. უფლება გვაქვს რომელიმე უუთიდან ამოვიღოთ მხოლოდ ერთი ბირთვი (ცხადია, ისე, რომ უუთში არ ჩავიხედოთ). ახლა კი დავადგინოთ, რომელ უუთში რა ფერის ბირთვებია. შეეძლებთ თუ არა ამას?

დილა

საქართველოს ალკკ ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი უმცროსკლასელთათვის.

გამოდის 1927 წლიდან.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა.

მთავარი რედაქტორი
ენვერ ნიჟარაძე

სარედაქციო კოლეგია: ედუარდ ამგოკაძე, ილია ანთელავა, მერი დავითაშვილი, სოლომონ დემურხანაშვილი, ლეილა ერაძე, მანანა კობახიძე, გელა ლოსაბერიძე, მაყვალა მრევლიშვილი, ჯურხა ნადირაძე, გიორგი როინიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), თენგიზ ჩალაური (პ/მგ. მდივანი), გივი ძნელაძე, გივი ჭიჭინაძე, მანანა ხაჩიძე.

ტექნიკური რედაქტორი
ენდი წერეთელი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: მთ. რედაქტორის 93-41-30, 93-98-15; პ/მგ. მდივნის 93-10-32, 93-98-18; სამხ. რედაქტორის — 93-98-18; განყოფილებების: 93-98-19; 93-98-17.

გადაეცა ასაწყობად 30. 09. 85 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 2. 12. 85 წ., ქაღალდის ზომა 60×90 1/3 ფიზ. ნაბ. ფურც. 2,5 ტირაჟი 168.000, შეკვეთა 2219.

უდაზე ნახატი სოფიო კინწურაშვილისა

«Дила» («Утро»), ежемесячный журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации им. В. И. Ленина для младшеклассников, на грузинском языке.

Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии.

Главный редактор Энвер Нижарадзе (тел. 93-41-30).

Адрес редакции и издательства: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.

Объем 2,5 печатных листа, тираж 168.000. Заказ № 2219.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდექსი 76055

6 104/179

ეროვნული ბიბლიოთეკა



უნდა მოინახოს ერთიმეორის წყვილი ფიგურები. წყვილთა ფერები ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს.

მხატვარი ნანა იოსელიანი